ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №96

2014 წლის 23 ივლისი,
ქ. ბათუმი

„სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 29 ნოემბრის №230–ე დადგენილებაში დამატებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, 34-36-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 56-59-ე მუხლების და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 14 ივნისის №65–ე დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე–3 მუხლის 3.1. პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“** აკადემიური საბჭოს 2012 წლის 29 ნოემბრის №230 დადგენილებაში შეტანილ იქნას დამატებები, **კერძოდ:**

ა) წესის №1 დანართის მე–6 მუხლის მე–3 პუნქტს დაემატოს „თ“, ხოლო 3.1. პუნქტს – „ე“ ქვეპუნქტები შემდეგი რედაქციით:

„ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ინგლისურენოვანი პროგრამების სასწავლო კურსების წაკითხვის შემთხვევაში);

ბ) წესის №1 დანართის მე–6 მუხლს დაემატოს 4^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„4^1. იმ შემთხვევაში, თუკი კონკურსანტი წარმოდგენილ ანკეტაში უთითებს ინგლისურენოვანი პროგრამების სასწავლო კურსების წაკითხვის შესაძლებლობას, საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კონკურსანტს ჩაუტაროს ტესტირება, გასაუბრება ინგლისურ ენაზე ან/და საჭიროების შემთხვევაში მოსთხოვოს საცდელი ლექციის ჩატარება“.

2. ზემოაღნიშნული ცვლილებები **დასამტკიცებლად წარედგინოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.**

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**